




საქართველოს



 **დაარსებულია 1918 წელს.** 
პარასკევი, 20 ივლისი, 2007 წელი
№140 (5741)

რეისკუხლიკა



გრიგოლ თუშანიშვილი

საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებამ კიდევ ერთი სერიოზული დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი, პროფესორი გრიგოლ (გივი) თუშანიშვილი.

გ.თუშანიშვილი დაიბადა 1925 წლის 10 აგვისტოს ქ.თბილისში. 1949 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და 1952 წლამდე სწავლობდა ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრის ასპირანტურაში აკადემიკოს ივ.ბერიტაშვილის ხელმძღვანელობით. 1953 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „კინესტატიკური და ლაბორატორიული გაღიზიანებების მნიშვნელობა ძილისა და ღვიძლის შენაცვლებაში“, ხოლო 1964 წელს – სადოქტორო დისერტაცია თემაზე „უჯრედშორისი ურთიერთქმედებათა როლი ქსოვილთა ზრდის რეგულაციაში“.

1957-1965 წწ. ის ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის ბიოფიზიკის განყოფილებას, 1965-1981 წწ. – აღ.ნათიშვილის სახ. ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის განვითარების ბიოლოგიის ლაბორატორიას, რომელიც 1983 წელს გ.თუშანიშვილის ხელმძღვანელობით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის შემადგენლობაში შევიდა.

გ.თუშანიშვილი საქართველოში მეცნიერების ორი დარგის ფუძემდებელია: მისი მონაწილეობით დაფუძნდა ბიოფიზიკა, ხოლო რაც შეეხება ინდივიდუალური

განვითარების ბიოლოგიას, საქართველოში ამ დარგის ერთპიროვნულ დამფუძნებლად სწორედ გ.თუმანიშვილი ითვლება. მას ეკუთვნის უჯრედების დიფერენცირების ე.წ. „დახრილი სიბრტყის“ თეორია, ცოცხალი სისტემების ონტოგენეზური თეორია და სხვ.

გ.თუმანიშვილი 120-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, რომელთაგან 4 მონოგრაფიაა. მას ეკუთვნის ციტოლოგიის პირველი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 25 საკანდიდატო დისერტაცია.

გ.თუმანიშვილი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონების (ცხინვალი, ბათუმი, ქუთაისი) უმაღლეს სასწავლებლებში. 1981-1985 წწ. გ.თუმანიშვილი იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, 1983-2001 წწ. – ბიოლოგიის ფაკულტეტის ციტოლოგიის, ჰისტოლოგიის და ემბრიოლოგიის კათედრის გამგე.

გ.თუმანიშვილი აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. ის გახლდათ საქართველოს მწვანეთა მოძრაობის დამაარსებელი, საქართველოს მწვანეთა ეკოლოგიური ასოციაციის პრეზიდენტი, საქართველოს მედიკო-ბიოლოგიური და საქართველოს ეკოლოგიური აკადემიების წევრი, საქართველოს პარლამენტის წევრი (1992-1995), გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს WWF ორგანიზაციის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი, საქართველოს ადამიანი და ბიოსფეროს (MAB) ეროვნული კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი, რეგენერაციის შემსწავლელთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი.

გ.თუმანიშვილის ცხოვრებაში დიდი ადგილი უჭირავს მხატვრულ შემოქმედებას. გატაცებით და პროფესიული პასუხისმგებლობით იგი წერდა (ქართულად და რუსულად) ლექსებს, მოთხრობებსა და პიესებს, ხატავდა პეიზაჟებს, ნატურმოტებს, პორტრეტებს. მან პირველმა მიმართა საბჭოური ხანის საქართველოში მაცხოვრის ცხოვრების თემას და, ამდენად თანამედროვე ქართული რელიგიური მხატვრობის ერთ-ერთი წამომწყებთაგანია. გ.თუმანიშვილი ხელმძღვანელობდა შინაურ მარიონეტების თეატრს, რომლის წარმოდგენებს დიდი მოწონება ჰქონდა.

1985 წელს გ.თუმანიშვილი დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით; 1986 წელს – ივანე ჯავახიშვილის მედლით, ხოლო 1997წ. და 2000წ. ღირსების ორდენებით; 1998 წელს გ.თუმანიშვილი აღიარებული იყო საქართველოს წელიწადის მეცნიერად მამაკაცთა შორის.

საერთაშორისო დონეზე აღიარებული მეცნიერი და პიროვნება, დიდი ინტელიგენტი, პროფესორი გ.თუმანიშვილი თავისი მაღალზნეობრივი მოქალაქეობრივი და მეცნიერული ცხოვრების წესით ყოველთვის ქართული სულიერების შენარჩუნებას ემსახურებოდა.

*საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია;
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი.*